№ 80 აპრილი 18, შაბათი — 1892 — აპრილი 18, შაბათი № 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჭიგიენო იარა-ჭრილობათ შესახვევს მასალას.**

**ხელობაძღა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—4)

ქართული თეატრი

კვირას, 19 აპრილს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან

**მ. მ. საფაროვის** თაოსნობით

წარმოდგენილი იქნება **ვ. მესხიევის** მონაწილეობით:

I

**ჰამლეტი**

დრამა 5 მოქ., თხზ. ვ. შექსპირისა, ნათარგმნი ი. მაჩაბლის მიერ.

II

**გულმა იგრძნო**

ვოდ. 1 მოქმედებად

ამ წარმოდგენის ნახევარი წმინდა შემოსავალი დანიშნულია ტფილისის ღარიბთა თავ-შესაფარის სახლის სასარგებლოდ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა. ბ-ნნი: მესხიშვილი, გუნია, კანდელაკი, გედევანოვი, მჭედლიშვილი, საფაროვი, თამაზოვი, ადამიძე და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზედ.

## ახალი ამბავი

*** სოფლის სკოლების მასწავლებლებს ისეთი მცირე ჯამაგირი ეძლევათ, რომ იმათთვის ყოვლად შეუძლებელია საპედაგოგიო ჟურნალები გამოიწერონ და პედაგოგიის ლიტერატურას თვალი ადევნონ. ამის გამო სასოფლო სკოლების ინსპექტორს პავლოვს მოხსენება მიურთმევია სასოფლო სკოლების დირექციისათვის, რომლითაც სთხოვს ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრაში თითო ბიბლიოთეკა დავაარსოთ სოფლის მასწავლებლებისათვის და ამ ბიბლიოთეკისათვის საპედაგოგიო წიგნები გამოვიწეროთო, რომ მასწავლებლებს უფასოდ შეეძლოთ ამ წიგნებით სარგებლობაო.

*** 20 აპრილს ტფილისის აბრეშუმის სადგურში დაიწყება ლექციები აბრეშუმის მოყვანის შესახებ. ლექციებზედ სოფლის სკოლების მასწავლებლები არიან მოწვეულნი.

*** ტფილისის საზაფხულო სეზონი იწყობა პირველ მაისიდგან. სამარინ-ბიხოვეცს, რომელსაც „სემეინი“ და „ანტეს“ („ლიონის“) ბაღი აუღია, საოპერეტტო წარმოდგენის გასამართავად ორისავე ბაღის სცენაზედ მოუწვევია ქალები: ანტონოვისა, სლავსკისა, იურჩენკო, ლუცენკო (არტ.-ქალი საიმპ. თეატრ.), კაზაჩენკო, პოპოვისა, სლაბოდინა, კრასოვსკაია და სხვ. კაცები: დოლინსკი, ვალიერო, იგნატიევი, ბიაზი, სუდბინინი, ულიხი, მიხოლენკო, იურჩენკო, სამარინი, ნევედომი და სხვ. დირიჟორად მიუწვევია ბ-ნი სამოსუდი, მის თანაშემწედ ფალიაშვილი. მმართველად და გამგედ ბ-ნი არსკია. ეს ერთად-ერთი გასართობი აქვთ საზაფხულოდ იმათ, რომელნიც ტფილისში დარჩებიან. ორსავე ბაღში ყოველ საღამოს წარმოდგენებს გამართავს დასი, განსაკუთრებით-კი უფრო „სემეინი“ ბაღში გამართავენ საოპერეტო წარმოდგენებს.

*** 15 აპრილს, ღამის 10 საათსა და 38 წამზედ, გომის სადგურზედ მატარებლიდგან გადმოხტა ქართლის მცხოვრები ალექსანდრე ჩიტოს ძე საზანდრიშვილი, 18 წლისა. ამ დროს მეორე მატარებელმა გამოიარა, საზანდრიშვილი ქვეშ მოიყოლია და გასრისა. საბრალომ იქვე სული განუტევა.

*** ქალაქის გამგეობა ყოველ წლობით გაანაწილებს ხოლმე უძრავ ქონებათა პატრონებს შორის სახელმწიფო გარდასახადს დაფასების კვალობაზედ. შარშან გასანაწილებელი ხარჯი იყო 46.618 მანეთი და 26 კაპეიკი, რომელიც უნდა განაწილებულიყო 33.061,165 მანეთის კვალობაზედ, რადგან ამ ფასებში იყო დაფასებული ქალაქის ყოველი უძრავი ქონება, გარდა სახელმწიფო მამულებისა, შენობებისა და აგრეთვე დაბალ ღირსების ქონებისა. აქამომდე 100.000 მანათად ღირებული ქონება იხდიდა სახელმწიფო ხარჯს წელიწადში 141 მანეთს, 10.000 მანეთად ღირებული—14 მ. და 10 კაპ., 1.000 მანეთად ღირებული—1 მანეთს და 41 კ. და სხვანი. წელს-კი გასანაწილებელი ხარჯი შეადგენს 63.611 მანეთს და 13 კაპ. ეს ფული ქალაქის გამგეობამ გაანაწილა მემამულეთა შორის, რომელთა ქონების ფასი აღრიცხულია 34.204,761 მანეთად, რადგან ერთის წლის განმავლობაში ხარჯის გამცემ მამულების ფასმა მოიმატა 1.203,296 მანეთი. ამისდა გვარად ხარჯმაც იმატა შემდეგის სახით: 100.000 მანეთად ღირებულმა ქონებამ უნდა აძლიოს წელიწადში 185 მანეთი და 56 კაპეიკი, 10.000 მანეთად ღირებულმა—18 მანეთი და 56 კაპეიკი, 1.000 მანეთად ღირებულმა—1 მ. და 86 კ. და სხვანი. ეს განაწილება გვაჩვენებს, რომ აქამდე სახელმწიფო ხარჯი შეადგენდა თითქმის ერთს მეხუთედს იმ დაფასების ხარჯისას, რომელსაც უძრავი ქონება იხდიდა ქალაქის სასარგებლოდ, ეხლა-კი ეს ხარჯი შეადგენს თითქმის ერთს მეოთხედს ნაწილს ხსენებულის დაფასების ხარჯისას.

*** გუშინდელს ნომერში ახალ ამბავთა შორის მოხსენებული გვქონდა, რომ არსენალის ხევში იპოვნეს ვასილ ბუხაშვილი (და არა სუხაშვილი) მატარებლისაგან თავ-მოკვეთილიო. ხალხი ლაპარაკობს, რომ ბუხაშვილი ჯერ დაურჩვიათ, მერე მიუტანიათ ბოროტს კაცებს და რკინის გზის ლიანდაგზე დაუგდიათ თავის მოსაკვეთად, რომ თავიანთი ბოროტება დაემალათო. ეს ლაპარაკი ცოტაოდნად მართალს ამბავსა ჰგავს: იმ ადგილას, სადაც თავ-მოკვეთილი გვამი იდო, სისხლი ძლიერ ცოტაა დაქცეული.

*** ამას წინად, თუ მკითხველებსაც ახსოვთ, ქალაქში სახლი გაუტეხეს ბ-ნს მელიქსეთოვს და ათასის თუმნისა ვერცხლეულ - ოქროული, ფული და მომგები ბილეთები წაიღეს. ტფილისის პოლიცია ქურდებს კარგა ხანს დაეძებდა, მაგრამ ვერ აღმოაჩინა. ბოლოს დროს ქურდებმა თავის თავად იჩინეს თავი, ეხლა საპატიმროში იმყოფებიან და მათ შესახებ გამოძიება სწარმოებს კიდეც. როგორც კერძოდ შევიტყეთ, ბ-ნ მელიქსეთოვთან წინად ნამყოფს მზარეულს იმერელს თავისს ნაცნობ კაცისათვის წვრილად ჩაუკენჭებია, სადაც ინახავს ფულს მელიქსეთოვი,

# ფელეტონი

## ჩვენი უთავბოლობა.

### გლეხ-კაცობა და სოფლის ბობოლები.

(შემდეგი. იხ. „ივერია“, № 79)

რა არის ეხლანდელი გაუნათლებელი სოფლის მოხელე, თუ არა სათამაშებელი ბურთი, მგელთან მგელი და ცხვართან მგელი. ხალხის ქონების დამავსებელი მოვაჭრე-მოვახშენი და სხვა სოფლის ჭამია გაიძვერანი სოფლის მოხელეებს ქრთამით მუჭაში იჭერენ დედამიწაზედ დასახეთქებელ ლაყ კვერცხსავით, და მერე რაც უნდათ, იმას სჩადიან თავის ნებაზედ. როდესაც სათოკე ვაჭრებს ორ-ლიტრიანი ჩანახი უდგათ სულადის ასაჩაფად, საზომიც პატარა აქვთ, საწყაოც, საწონიც და ყველაში ატყუებენ ლანძღვა-გინებით ცხვარივით ხალხს: ზომაშიაც, წონაშიაც, ანგარიშშიაც, საქონლის ღირსებაშიაც და მრავალ სხვაშიაც. ვინ არის დამნაშავე, თუ არა სოფლის მოწეს-რიგე მოხელეები? როდესაც ხალხი ავად ხდება და იხოცება ჭირიან-ნაავადმყოფარის ხორცისაგან და სხვა ათასის დამპალ-დუმპალის სანოვაგეხილეულობისაგან, ვინ არის დამნაშავე, თუ არა სოფლის ორგული მოხელეები? როდესაც კვირა-უქმე დღეებში წირვის გამოსვლამდე—თუ-კი არი—სამიკიტნოები არ იკეტება, იქაქეთ-იქიდგან ჟივილ-კივილით გაიძახიან: ჩვენც მოვვხედე, მიკიტანო, ჩამოგვისხი ტიკიდგანო, და ეკკლესიაში-კი მღვდელ-დიაკვნის მეტი არავინ არი, ვინ არის დამნაშავე, თუ არა იგივე მოქრთამე მოხელეები? როდესაც გამგელებულ ვაჭრებს ნება არა აქვთ კალოზე წასვლისა, მაგრამ მაინც მიდიან და ორას ურმობით სულადს იღებენ უზარმაზარის ჩანახებით ნასამედ ფასად ნაყარ-ნუყარ ჩითმათებში და კევ-ლახოსტაკებში, ვინ არის დამნაშავე, თუ არა იგივე სოფლის ჭამია მოხელეები? როდესაც სირაჯები ჩაფ-ნახევრიანის ჩაფით იწყავენ ოქრო-ლალის ღვინოებს და ჩოდრები უშველებელის ჩანახებით სჩაფავენ სულადს, ვინ არის დამნაშავე, თუ არა იგივე სოფლის მოღალატე მოხელეები? როდესაც საცოდავ გლეხს უკანასკნელს ლუკმას აცლიან პირიდგან ულმერთო მოვალის სარგებლის სარგებელში გასასყიდად, ვინ არის დამნაშავე, თუ არა იგივე უსამართლო მოსამართლეები? როდესაც ცოტაოდენი ბეგარაა მოწერილი სოფელზედ და გზირები-კი ქრთამის გულისათვის კომლზედ კაცს ეძახიან ხარიან-კამეჩიანად, ვინ არის დამნაშავე, თუ არა იგივე სულ-მრუდი მოხელეები? როდესაც მართალი ცხარე ცრემლით ტირის, ქვითინებს, გულს იკლავს, და მტყუანი-კი ცინიკურის ღრეჭით ნიშნს უგებს, ვინ არის დამნაშავე, თუ არა იგივე უწყალო და უსინიდისო მოხელეები, რომელნიც თავიანთ ნებაზედ ათამაშებენ სასწორს ცოდვა-მადლისას? როდესაც ფოსტის ფულს მეტობით აწერენ ასაწაპნად და ათასი სხვა მინდვრის შემოსავალი-საბალახე იჭმება და იკარგება ყოველწლივ ბზობის ყვავივით, ვინ არის დამნაშავე, თუ არა იგივე სოფლის ყლაპია მოხელეები? როდესაც მინდვრისა და ვენახეების მეველებად ქურდბაცაცებს აყენებენ ქვეყნის ჭირნახულის გასაქურდავად, ვინ არის დამნაშავე, თუ არა იგივე ქვეყნის დამავსებელი მოხელეები? როდესაც გაიძვერა ამბარდანი წესიერს საწყაოს არ აჩენს და ორ ლიტრიანის ჩანახით იჩაფავს სულადს, ვინ არის დამნაშავე, თუ არა იგივე სოფლის ფხოჭავი მოხელეები? ვინ არის დამნაშავე, გარდა იმავე სათოკე მოხელეებისა, როდესაც დღე-მუდამ მირბიან იმათთანვე და მწარის მოთქმით შესჩივიან: ქრისტიანები არა ხართ, ზღვისოდენა გამგელგაკაცებული მოვაჭრე-მოვახშეებიც ჩვენ გვყვლეფავენ, გვატყავებენ, თავში გვიფაჩუნებენ უსამართლოდ და ე დაცოფებული გზირები რაღა ღვთის რისხვაა, რო ეგრე გვაწიოკებენ: ქათამ-ინდაურებს გვიულეტავენ, ზედაშეებს გვიხდიან და სახლის ავეჯეულობას დუქნებში მიარბენინებენ დასაგირავებლადაო, და მოხელეები-კი გამოსარჩლების ბადლად გულ-მოსულები უყვირიან ულვთოდ დაჩაგრულს მოჩივრებს: დაიღუპეთ აქედამ! ნუ ხართ ე კაცის შემაბეზრებელი ვირებიო, და სხვა. ვინ არის დამნაშავე, როდესაც გუბერნატორის კანცელარია მთელის გუბერნიის გლეხების საჩივრებით დუღს და გადმოდის, თუ არა იგივე სამართლის მრუდედ მჭრელი სოფლის მოსამართლეები? ვინ არის დამნაშავე, როდესაც... ეჰ, აბა რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, მე ქაღალდი შემომაკლდება და თქვენ—სურვილი კითხვისა. ან-კი რად შემიძლიან მე, უბრალო მომაკვდავს, სიკვდილის შვილს, ყველა უკლებლად მოვიგონო და მოგახსენოთ, როდესაც თვით ცამდე დიდებული, ხალხის ცხოვრების მეგულის-პასუხე ტურგენევი, ლევ ტოლსტოი და გლებ უსპენსკიც ვერ ჩამოგითვლიდათ დაწვრილებით ყველა იმ უსამართლობას, რასაც გაუთლელი სოფლის მოსამართლეები სჩადიან წლის-წლობამდის და ამათთან ერთად ფული-ყლაპია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერცხლეულ-ოქროული სადაც აწიყვაო, და ამასაც, გვარად ორდენიძეს, სულ წმინდად გამოულაგებია. ნაქურდალის დაფარვა რომ ვერ მოუხერხებია, ამ ორდენიძეს მიუმართავს ვანო ოჰანეზოვისათვის და უთხოვნია, დამეხმარე როგორმე ამ საქმეშიო. ვანოსაც ქურდი ნაპარევითურთ თავის ძმასთან წაუყვანია, ცაკანა ოჰანეზოვთან, რომელსაც ორთაჭალაში მიკიტნის დუქანი აქვს. აქ ორდენიძეს უსვამს, უქეიფნია და დროება უტარებია. ბოლოს ფული ამოუცლიათ, ნივთები კიდევ ისე გაუყვიათ, რომ მაგდენი არა ურგუნებიათ-რა, და გამოუსტუმრებიათ. ამასობაში ძმებსაც მოსვლიათ ჩხუბი ნაპარევის განაწილების გამო, პატარა ძმა ვანო მისულა ბ-ნ მელიქსეთოვთან და ათ თუმნად გარიგებია, ქურდს მე გიპოვნიო. დაუსახელებია კიდეც, ორდენიძე დაუპატიმრებიათ და იმასაც ყველანი გაუცია. ამ ჟამად ორდენიძეცა, მელიქსეთოვთან მზარეულად ნამყოფიც და ცაკანა და ვანო ოჰანეზოვებიც—ოთხივენი დაპატიმრებულები არიან.

*** სოფ. მაჩხაანი (სიღნაღის მაზრა): ცამეტს აპრილს შემდეგი საცოდაობა დატრიალდა: ტატიკო ხუციაშვილი მინდორში საქონლის სანახავად წავიდა და თან ახალის სისტემის თოფი „პიბოდი“ წაიღო. როდესაც საქონლის ბინას მიუახლოვდა, დიღლილობის გამო დაისვენა და დასვენების დროს თოფში გულა ჩასდო. გულა გაიჭედა და ველარ გამოიღო; შემდეგ თურმე თოფი მოიბრუნა და ზუმბით უნდა გამოეღო; ამ დროს გავარდა თოფი და საბრალოს ტყვია შიგ კუჭში აქვს მოხვედრილი და მარცხენა თეძოში გავარდნილი. მაზრის მკურნალმა ჰნახა დაჭრილი და სთქვა: „სათუოა ამის მორჩენაო“. მკურნალი წავიდა თუ არა, ორს საათს შემდეგ დალია დაჭრილმა სული.

*** ქუთაისი: აღდგომის უქმეებმა ქუთაისში მხიარულად ჩაიარა. სმა-ჭამა, ქეიფი, ლოთობა დიდი იყო და, რაღაც ბედად, ხანჯლის ტრიალი არ ყოფილა, რაც იმერლობას ბახუსის თაყვანისცემის დროს ძლიერ ეხერხება. მაგრამ სამაგიეროდ აღდგომის ბედნიერი დღეები და სიამოვნება ზოგს მწარე ცრემლად და მწუხარებად გარდაექცა. აპრილის 8-ს, ოთხშაბათს, ვიღაცა ვაჭარს თუ მედუქნეს სახლი დაეწვა. კაცი სახლში არ ყოფილიყო, მხოლოდ ცოლი დარჩენილიყო შინ თავის წვრილის შვილებით. ღამის ათს საათზედ ცეცხლი გაჩნდა სახლში; ქალი ისე დაბნეულიყო, ალბად შიშისაგან, რომ ველარაფერი გაეგო. როდესაც ცეცხლის ალმა სახლი მთლად შეიპყრო, მაშინ მოაგონდა, რომ ერთს ოთახში მძინარე ხუთის წლის შვილი დამრჩაო. იწივლა, იკივლა, შემოიკრა თავში, მაგრამ გვიან-ღა იყო. სახლი მთლად დაიწვა (როგორც ამბობენ, არც დაზღვეული ყოფილა) და ხუთის წლის ყმაწვილიც შიგ გამოიწვა.

*** იქიდგანვე: ცეცხლმა ეს საქმე ჩაიდინა, მაგრამ ამ გიჟმა რიონმაც გაუმწარა სიცოცხლე ერთს ოჯახს. რიონის ნაპირას სცხოვრობს ერთი მოხელე კაცი თავის ცოლ-შვილით. ამ მოხელეს თავისის დუქნიდგან გაეგზავნა აღდგომის ხუთშაბათს საღამოს პატარა მოსამსახურე რიონზედ წყლის მოსატანად. ბიჭს გაჰყოლოდა მოხელის შვილი—შვიდის წლის ბავშვი. ბიჭი-კი დაბრუნდა წყლიდგან და შვილი-კი გაქრა, დაიკარგა. მამამ ეს ვერ გაიგო, ეგონა, ჩემი შვილი თავის ბებიასთან წავიდაო, რადგან იქ ხშირად დაიარებოდა. მეორე დღეს გაიგეს დაკარგვა შვილისა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და ვერაფერი ვერ შეიტყეს. მხოლოდ პარასკევს საღამოს ქუთაისიდგან ხუთ-ექვს ვერსის მანძილზედ მეწისქვილეს ენახა წისქვილის რუში ჩახირული დამრჩვალი ბავშვი. შეატყობინეს პატრონს და დამრჩვალი ყმაწვილი მოიტანეს სახლში. მაგრამ ვაი იმ მოტანას და დედის ყოფას? ამ ამბავმა ისეთი თავსზარი დასცა უბედურს დედას, რომ მეოთხე დღეს ველარ გაუძლო დარდსა და მწუხარებას და შეშმიშად შეიქმნა. ანკი რა ხაირი დაეყრებოდა უბედურს სამის დღის განმავლობაში უძილობისა, უჭმელობისა და განუწყვეტელ ტირილის გამო. ვინ იყო იმისი ნუგეშის მცემელი, დამრიგებელი და გამამხნევებელი. სამძიმრისათვის მოსიარულე ხალხმა და იმათმა ტირილმა და თავში ცემამ უარესად გადუღია გული საცოდავს დედაკაცს. ნუგეშის-ცემის მაგიერ მოსამძიმრენი ტიროდნენ, თუმცა იქნება სულ არც-კი ეტირებოდათ, და ატირებდნენ ჭირისუფალსაც.

*** ერთის სოფლის მასწავლებლისაგან „მეურნეს“ შემდეგი წერილი მიუღია: „ეს ხუთი წელიწადია, რაც ს. ნიგოითში, ოზურგეთის მაზრაში, მასწავლებლადა ვარ და ყოველთვის ვაცოცხლებდი და ვზრდიდი აბრეშუმის ჭიას. თესლს ხალხისათვის მე ყოველთვის კავკასიის სააბრეშუმო სადგურიდგან ვიბარებდი. პირველის სამის წლის განმავლობაში ხსენებულ სადგურიდგან დაბარებულ თესლიდგან ძალიან კარგ მოსავალს ვიღებდით და ამის გამო აქაური მკვიდრნი ისე შეეჩვივნენ სელლიულერად დამზადებულს თესლს, რომ ადგილობრივ და ძველებურად დამზადებულს თავი დაანებეს და ჩემ მიერ დაბარებულს სელლილერის თესლს ძალიან ეტანებოდნენ. მაგრამ ამ ორ უკანასკნელს წელიწადს ამავე სადგურიდგან დაბარებულმა თესლმა ისე აღარ გაგვახარა და, წინააღმდეგ, დაგვაღონა, რადგან მეტად სამწუხარო ნაყოფი მოგვცა: ჭია ბოლო ხანებში თითქმის ყველგან დაიხოცა სხვა-და-სხვა ავადმყოფობით, მეტადრე ერთის ფრანგულ და ერთსაც იტალიურ ფირმების თესლისა. ამათგან ერთი პარკიც-კი არავის უნახავს, პებრინამ ისე გააწყო. ასეთმა უსარგებლოდ ჯაფის და ხარჯის გაწევამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზედ, რომ სრულიად გული აეყარა სელიულლერის თესლზედ და აღარ სჯერა მისი სიკეთე. ერთი ოციოდე კაცი დარჩა, რომელთაც ცოტა კიდევ შერჩათ სურვილი შეიძინონ სალი თესლი და განაგრძონ მეაბრეშუმეობა, ხოლო ის-კი არ ვიცით, საიდგან დავიბაროთ იმისთანა თესლი, რომ ამ ოციოდე კაცსაც თავი არ დაანებებინოს ამ სასარგებლო საქმისათვის. სასურველია, რომ სამეურნეო საზოგადოებამ იკისროს იმის გამოკვლევა, თუ რომელ ფირმის თესლი უფრო სალია და კარგი, სად შეიძლება მისი შოვნა, რა ფასად და სხვა და სხვა“.

## მთავრობის განკარგულებანი

დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძის 153 პოლკის პოდპრაპორჩიკს სუმბათაშვილს პოდპორუჩიკობა ებოძა.

გრენადერის 14 პოლკის პოდპრაპორჩიკს აბაშიძეს პოდპორუჩიკობა ებოძა და არდაგანის სათადარიგო პოლკში იქმნა გადაყვანილი.

## სოფელ მეტეხის ოთხთავი

(1049 წლისა)

(დასასრული, იხ. „ივერია“ № 77)

ჩვენ გვგონია, რომ გიორგის „თარგმანი“ სხვა არა უნდა იყოს-რა, გარდა ტექსტის სინამდვილით გადმოღებისა ბერძულიდგან ქართულ ღრმა ენით.

„დავითნის წარწერაში გიორგი ეხვეწება რიტორთა, ფილოსოფოსთა და გადამწერთა:

„ვინ ჰსწერდეთ, ვითა აქა ჰპოვოთ, ეგრეთ შეუცვლელად დასწერეთ; ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ; ჩუჱნ, რომელი ჯერ იყო, ჩაგვირთავს და, რომელი ჯერ იყო, დაგვიკლია,—ვითა ჩუჱნ ენასა მოვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდა; ნუცა დონ-ანსა დააკლებთ, ნუცა რამეთუსა. და ესე ეგების გონიერისაგან გულის ხმის ყოფად, რომელ იგი დონ ანი ჩუჱნცა ვიცოდით და, თუმცა რას ავნებდა, განა იგი რომელცა სიტყუა, არა დავუტევობდით, არცა აღმოვხოცდით. და სხვ. (სრულად ამოვწერთ შემდეგში).

დიაღ, აქედგანაც ისევ ისა სჩანს, რომ მთაწმინდელს უმთავრესად თვისი ყურადღება მიქცეული ჰქონია ტექსტის სინამდვილესა და ენის მართლ-წერაზე. როგორც ტექსტი, ისეც ენა ძველ ნათარგმანებთა გიორგიმდე გარყვნილა. და მას საჭიროდ დაუნახავს გადასინჯვა წმ. წიგნთა. აი მისი სიტყვები იმავე წარწერის ბოლოს.

„წმიდამან მამამან ევთიმე (†1028 წ.) დავითნი სთარგმნა დი მწერალს ვისმე მისცა დაწერად და მან გარყვნა და უხმარ ჰყო და მიერითგან სხუა აღარც ჰსთარგმნა, არამედ ქართულნი დავითნნი თანა ესხნიან და, სადაცა სიტყუა ეხმარებდა, მუნით იწამის“.

ჩვენ შედარებული გვაქვს ერთმანეთთან ხუთი სახარება (X, XI და XII საუკუნისანი). გიორგის სახარებასთან შედარებით ამათში დიდი სხვა-დასხვაობა იხილება.

ამ მრავალ განსხვავებათაგან დღეს მოვიღებ ერთს.

სახარებანი.

სახ. X ს. { გიორგისა და მეტეხისა

| | |
|---|---|
| და მერმე გეტყჳ | და მერმე გეტყჳ |
| თქუჱნ ოჳადვილეს | თქუჱნ უადვილეს |
| არს მანქანისა სა- | არს აქლემი გან- |
| ბელი განსვლად | სულად კურელსა |
| კვრელსა ნემსისასა | ნემსისასა, ვიდრე |
| ვიდრე მდიდარი | მდიდარი შესლვად |
| შესვლად სასოვფე- | სასუფეველსა ცა- |
| ველსა ღუთისასა | თასა (მათ., 19.24). |

საკუთრად მეტეხისა და წმ. გიორგის სახარებათა შორის კიდევ განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ლუკას სახარების 1-ლ თავის პირველ ოთხ მუხლს მეტეხის სახარება სთვლის ცალკე ეპისტოლედ თეოფილეს მიმართ და სახარებას იწყობს მეხუთე მუხლითგან. გიორგისაში-კი თვით ეს ეპისტოლეც მუხლებად დაყოფილია და სახარების თხრობას მიჰყვება.

ვინ იყო მეტეხის სახარების გადამწერი ბესარიონ, არა სჩანს. და აგრეთვე არც ამ წიგნის ყდის გამკეთებელი მწერალი მღვდელი დიმიტრი.

ნიკოლოზ ქათალიკოზი თავის თავს უწოდებს მეფის ლევანის ძედ. ყოვლისა საქართველოს მეფედ არც ერთი ლევანი არა ყოფილა. არჩილ მეფის დროს († 718 წ.) აფხაზეთში მთავრობდა ლეონი. საქართველოს განაწილების შემდეგ კახეთში მეფობდა ლევანი (1520—1574) და 1703 წელს ქართლის ჯანიშნად ითვლებოდა ვახტანგის მამა ლევანი, რომელსაც მეფობით იხსენიებენ ხოლმე. წარწერის ნიკოლოზი შესაძლებელია ან ვახტანგისძე იყოს და ან კახეთის მეფის ლევანის შვილი, შუამთაში შემონაზნებულის თინათინისაგან ნაშობი.

ვინ არის აშოთან ბატონიშვილი, რომელსაც გაუკეთებია გაუკეთებია სახარების ლუსკუმა და ზედ ამოუ-

---

ვირ-ეშმაკები, რომლებსაც ხშირად ირჩევს სოფელი თავისისავე საზოგადოებიდგან სხვა-და-სხვა სასოფლო საქმეისათვის და სოფლის „პოვერნიებს“ ეძახიან. „მე თვით ჩემისა აქიმისა და მკურნალისაგან მკვდარი ვარ“—ეს ზედ-გამოჭრილი სიტყვალა ეთმის მდაბიო ხალხს თავის მოხელეებზედ.

დიაღ, თუ ზედმიწევნით არ იცნობდით სოფლის მოხელეებს, ამას იქით მაინც გეცოდინებათ, რანი ყოფილან. საჭიროა ესეც მოგახსენოთ, რას ამბობს იმათზედ ხალხი: ღმერთო, შე დალოცვილო, როდის უნდა დავახწიო ამათს უსამართლო სამართალსო!.. მართლაც-და როდის უნდა მოახდინოს მთავრობამ აუცილებელი რეფორმა, როდის უნდა დაიხსნას სოფლის ურიცხვი ხალხი გაუნათლებელის მოხელე-მძარცველების ავაზაკობისაგან და როდის ეღირსება სოფლელებსაც მართლ-მსაჯულებით სავსე სამართლიანი მოსამართლენი, რომ სიმართლის ჰქა-გრგვინვით ავის მქნელნი შიშით წრწოდნენ, მგლებს კბილები ფაფად ექცეთ, „თხა და მგელი ერთად სძოვდნენ“!

ხალხს ახლო სდგანან აგრეთვე სხვა-და-სხვა სასწავლებლებიდგან გამოგდებული და არ-გამოგდებული ბეთხეირი ალოლეტიები, „სტარში ლაქია-პოვრებად“ ნამყოფი ას-ენოვანი ფარისევლები და ათას ნაირ „სლუჟბაში“ ბოთვერა-მეძებრებივით გამოხარშული გაიძვერანი, რომელნიც ზოგნი აბლაკატობენ და პოპოშნიკობენ, ზოგნი „ფოდრიაჩიკობენ“ და „ლავოშნიკობენ“, ზოგნი „ფერშალჩიკობენ“ და „პოსრედნიკობენ“ და ზოგნიც უსაქმოდ დასეირნობენ სოფლებში ხალხის სურსათის შესათხელებლად. ამათთანა ქვეყნის ბარგზედ აქ თავს არ შეგაწყენთ ლაპარაკით, რადგანაც ამათი ჯურა კაცუნების მიმართულება ყველამ იცის და ყველა ჰხედავს იმათ ყველგან, როდესაც ისინი გზა-ბულვრების სატკეცლად გამოდიან პიფაგორივით ღრმად ჩაფიქრებულები, გევონებათ მაღალის აზრებით გამსჭვალულნი ქვეყნის წინწაწევაზედ ჰფიქრობენო, მაგრამ ფეხებზედ ჰკიდიათ ქვეყანა და ქვეყნის საქმე, გარდა თავიანთ ჯიბე-მუცლის საქმეებისა. არიან იმათში ისეთი ფილოსოფოსებიც, რომლებზედაც მშვენივრად სთქვა რუსების პოეტმა-სლავიანოფილმა ს. აქსაკოვმა: „О жизни мудрствуютъ, но жизнью не живутъ и тратятъ свой досугъ лѣниво и безплодно“. მშვენივრად ოხუჯობს თვით ჩვენი საყვარელი პოეტიც ამათთანავე მუცლის მოსამსახურე ცრუ-მავნეებზედ: „შალტაი, ბალტაი კირილ ზნაიტ, კაკ სობაკა მნოგო ლაიტ, გოლოს სილნი კაკ კოროვა, ბაშკა ტოლკო ნე ზდოროვა!“ ამათთანა ქარაფშუტა კაცუნებს ზეცას ფეტვი უთესიათ, არბიან და ჩამორბიან: გლეხი რომ ღმერთსა და პურს იფიცამდეს, ან ხატსა და ჯვარს, სად არი ღმერთიო, პურს რა მადლი აქვსო, ჯვარი და ხატი რაღას ასხიაო; გლეხი რომ ქრისტე აღსდგას ეუბნებოდეს, აბა, შე ბრიყვო, შენ როდისა ჰნახე რო აღსდგაო, და ვინ მოსთვლის რა უმართებულებას და ცინიკურ საზიზღრობას არ ავრცელებენ ხალხში ხალხის რწმენისა და გულის გასატეხად ასეთი სათოკე კაცუნები. სიცოცხლე მაშინ არის კარგი, როცა ცეცხლი სასოებისა, იმედისა და სიყვარულისა გიღვივის გულში, უამათოდ-კი სიცოცხლე მომაკვდინებელი ტანჯვაა და სხვა არაფერი. მაშასადამე, ღირსია გაქრობისა ის, ვინც იმედს, სასოებას და სიყვარულს აქრობს ხალხის გულ-გონებაში.

ზოგჯერ დაბა-სოფლებშიაც მოიპოება ისეთი განათლებული მკვიდრი, ან საზაფხულოდ მოსული მასწავლებელი, მოსწავლე და სხვა ჭეშმარიტი ინტელიგენტი, რომელნიც ხალხის მრავალ-ტანჯულ სულსა და გულს ნუგეშის ნათელსა ჰფენენ და ათასს საკეთილო მაგალითს აძლევენ მისს თვალსა და გონებას სიტყვით თუ საქმით. მაგრამ რა გამოვა იქ, სადაც ერთი და ორი კეთილსა სთესავს და ასი და ათასი ბოროტი სული ცეცხლს უკიდებს მათს ნათესს? რა უნდა იყოს ან იქ, სადაც რომელიმე გაუთლელი და გაუნათლებელი ჩინოვნიკი დიდ-მარხვაში სახალხოდ სასხნილოს შეექცევა და თან მდაბიო ხალხს ემასხარავება იდიოტურის ღრეჯით და დიდ-კაცურის კილოთი: „მე ჯოჯოხეთში წავალ და თქვენ—სამოთხეშიო“. მე ჩემის თვალით მომიხილეჲა კახეთში, მღვდელი თავის დიდ-მარხვის ჭამია მრევლს გონივრულს საყვედურს აძლევდა დარიგებით და ის-კი ურცხვად მიუგებდა მოძღვარს ბრიყვულის ყვინტ-ყვინტით შემდეგს: „ეჰ, მოგიცლია, მამაო, და ლაპარაკობ! ქვეყანა სჭამს და რაღა მე დამინახეო! არა, ე ტიალი, მარხვი ჭამა თუ მართლა ეგეთი დიდი ცოდვაა და ესაც ტყუილი მოგონილობა არ არი ი ცუდა-მჭამელ ბერებისა, მა ეხლა, დაიცა გეთაყვანე, ი ჩვენი ჩინოვნიკი უფრო შენზე დიდი ნასწავლი კაცი არ არი—ის რათა ჰჭამსო?! მაგრამ არა! ყველაში ჩვენა გვდაღლამთ, გინდათ, რო ცარიელი ქერი პური ჭამისაგან ძაღლივით სული ამოგვძვრეს და ჩვენი ჯამი და კოვზიც თქვენ დაგრჩეთ სამარხოში. ე, შვილოსა, ჩვენი სიკვდილი თქვენი ქორწილია. რა ვიცი, თქვენიც არა გაიგება-რა: სუ იმას იძახით მრევლი ცოტა გვყაო და სუ-კი ის გინდათ ერთ დღეს გავწყდეთო!..“

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრევინებია ზემორე მოხსენებული წარწერა 1140 წელს?

1140 წელს ბატონიშვილი აშოთან ჩვენ არ ვიცით. ამ დროს მეფობდნენ: დავით აღმაშენებელი (1089—1125), დავითის ერთად ერთი ძე დიმიტრი (1125—1155) და დიმიტრის ძე დავით (1155 წელს ექვსი თთვე). ამ წელს გამეფდა გიორგი III, მამა თამარისა და რამდენიმე წლის შემდეგ მოჰკლა ერთად ერთი ძე დავით დიმიტრის ძისა—დიმიტრი და გაამეფა თამარი.

მაშასადამე წარწერის აშოთანი ამ ბატონების შვილი ვერ იქნებოდა. შეიძლება იგი იყო ძე არტანუჯ-კლარჯეთის ხელმწიფეებისა ანუ მმართველებისა, რომელთაგან ერთი—გუზანი ჯერ თამარის დროსაც ძლიერი იყო; იგი განდგა, მაგრამ იმერელ მცელავებმა თავი გააგდებინეს არსიანის მთაზედ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აშოთანი თავის „ბატონის შვილობით“ ხელმწიფის შვილობას-კი არ იჩემებს, არამედ რომელიმე დიდებულის შვილობასა. ჩვენ არა ერხელ შეგვხვედრია, რომ ორბელიანნიც ხშირად ბატონიშვილობით იხსენიებდნენ თავის თავს, აგრეთვე ერისთვიანი და სხვანი.

შეიძლება, წარწერის აშოთანი და აგრეთვე ვეფხის ტყაოსნის ავტორი აშოთანი (შოთა) ერთივე იგივე პირი იყოს, სახელდობრ შოთა ორთავაჩოს ძის ძე, ფრიად განათლებული და სახელოვანი თანამოღვაწე თამარისა.

შოთა ორთავაჩისძიძე პირველად მოწინააღმდეგე ყოფილა თამარის მამის გიორგის გამეფებისა და მაშასადამე თამარის გამეფებისაც. ესა სჩანს იქიდგან, რომ ამ შოთას ვხედავთ გიორგის ძმისწულის დიმიტრის მომხრე ლაშქარში. ეს ლაშქარი გამაგრებულა ციხე ლორეში და ჰსურს გიორგის წაართვას, დიმიტრის მამისეული, ტახტი. გიორგი მოიწვევს დიდძალ ლაშქარს და მიუხტება ლორეს. მეფე გაიმარჯვებს. ძმისწული დამარცხდება. შეიპყრობენ გრიგოლ ასათის ძეს, იოანე ვარდანის ძეს და ართავაჩოს ძის ძეს შოთას. „ვარდანისძე პირველად იუქმოდა ორგულადა და მისთანა შოთაცა ძე ართოვაჩოსძისა“ დიმიტრიმ-კი, იხილა-რა თავი თვისი ყოვლითურთ შეუწევნელი, მოიბა საბელი და გარდმოხდა ციხით და მიჰმართა თჳსსავე ბიძასა დიმიტრიმ გიოგის თვალები ამოჰხადაო ანუ დააბრმავაო, ამბობს ბროსე (Histoir de Llageorg, გვ. 400 შენიშ I.

ამ გვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ წარწერის აშოთანი და შოთა ართოვაჩოსძე ერთმანერთისაგან უახლოეს დროს სცხოვრობენ, ვიცით ისიც, რომ თამარის დროს იყო აგრეთვე აშოთანი ანუ შოთა, ავტორი ვეფხის ტყაოსნისა. ეს აშოთანნი მართლა სამნი პირნი არიან, თუ შოთა (აშოთანი) სახელია ერთი კაცისა, რომელსაც ა) მეტეხის სახარების ლუსკუმა გაუკეთებინებია, ბ) თამარის მამის მოწინააღმდეგე ყოფილა და მერე თავისივე ნებით მეფის მხარე დაუჭერია და თავის თვალით, დიმიტრის გაუბედურების მეორე წელიწადს, უნახავს ზეიმი თამარის გამეფებისა და გ) დაუწერია ვეფხის ტყაოსანი? აი კითხვა, რომელიც უნდა გამორკვეულ იქმნას ახალ-ახალი წყარო—საუნჯეთა აღმოჩენისა და გვარად.

მ. ჯანაშვილი.

# რუსეთი

ეჭვი არ არის, რომ გაზაფხულზედ უფრო მომეტებული მოძრაობაა ხოლმე რკინის გზებზედ. ამის გამო გაზეთი „Нов. Вр.“ ამბობს, რომ, სამწუხაროდ, რუსეთის რკინის გზებზედ მოგზაურობა გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე სხვა სახელმწიფოების რკინის გზებზედაო, და მოჰყავს კიდეც „Figaro“-ში დაბეჭდილი რკინის გზების ნიხრი. ამ ნიხრიდგანა სჩანს, რომ რკინის გზებზედ მოგზაურობა ერთის კილომეტრის სიშორეზედ ჰღირს:

| | 1 კლასი. | 2 კლ. | 3 კლ. |
|---|---|---|---|
| ავსტრიაში — | 0,075 | 0,050 | 0,025 |
| ბელგიაში — | 0,075 | 0,056 | 0,037 |
| პრუსიაში — | 0,100 | 0,075 | 0,050 |
| საფრანგეთში | 0,112 | 0,075 | 0,040 |
| ინგლისში — | 0,097 | 0,080 | 0,065 |
| შვეიცარიაში | 0,100 | 0,070 | 0,050 |
| იტალიაში — | 0,110 | 0,079 | 0,056 |
| რუსეთში — | 0,150 | 0,110 | 0,065 |

როგორც ჰხედავთ, რკინის გზებზედ მოგზაურობის ფასი რუსეთში გაცილებით მეტია, ვიდრე ევროპის 7 სახელმწიფოში. ამასთან ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ რუსეთში მოგზაურს კაცს უფრო მეტი ფული ეხარჯება, ვიდრე სხვა სახელმწიფოში, რადგანაც რუსეთში ერთის ქალაქიდგან მეორე ქალაქამდე ხანდახან უფრო მეტი გზა არის, ვიდრე სხვა სახელმწიფოს ერთის საზღვრიდგან მეორემდე. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ საზღვარ-გარედ ისეთი სახელმწიფოებიცაა, რომელიც რუსეთის ერთს გუბერნიაზედაც-კი პატარაა, მაგრამ იქაურ რკინის გზებზედ-კი უფრო იაფია მოგზაურობა, ვიდრე რუსეთში. ავსტრიის რკინის გზებზედ, მაგალითებრ, 1 კლასის ვაგონის ფასი თითქმის იგივეა, რაც რუსეთში მესამე კლასისა არის, ასე რომ რუსეთში რკინის გზით მოგზაურობას სამი იმოდენა ფული სჭირდება, რაც ავსტრიაში.

გაზეთ „Кіев. Сл.“-ს შემდეგი მაგალითი მოჰყავს. კიევიდგან ოდესამდე 612 ვერსია და მესამე კლასის ბილეთი ჰღირს 8 მ. 80 კ. ავსტრიის ტარიფით ამ ბილეთის ფასი 3 მ. 38 კ. ეღირებოდა, მეორე კლასის ბილეთი—6 მ. 76 კ. და 1 კლასისა 10 მ. 14 კ., ე. ი. ავსტრიაში 8 მ. 80 კაპეიკად ადამიანს შეუძლიან, 612 ვერსი-კი არა 1,591 ვერსი გაიაროს მესამე კლასით და 795 ვერსი მეორე კლასით.

პეტერბურგიდგან რომ მოსკოვში წამოვიდეს კაცი, იმდენი ფული ეხარჯება, რა ფულითაც, ავსტრიის ფასები რომ იყოს, ადვილად შეუძლიან პეტერბურგიდგან მოსკოვში მივიდეს, ისევ პეტერბურგს დაბრუნდეს და კიდევ ფული დარჩება. ის ფული-კი, რომელიც პეტერბურგიდგან მოსკოვში პირველ კლასის ბილეთზედ იხარჯება, საზღვარ-გარედ მთელს მოგზაურობას ეყოფა.

საზოგადოდ საზღვარ-გარედ ამ უკანასკნელს დროს ძლიერ დაუკლეს რკინის გზების ფასს. რა თქმა უნდა, რომ ძლიერ კარგი იქნებოდაო, ამბობს „Нов. Вр.“, რომ ჩვენშიაც ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და მოგზაურთათვის რკინის გზების ბილეთების დაუკლონ ფასს.

### ფრიდრიხ ბოდენშტედტი

ვისბადენში გარდაიცვალა ცნობილი გერმანელი პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტედტი. ბოდენშტედტმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა პედაგოგიას, სცენასა და ლიტერატურას. ბოდენშტედტს მთელი რუსეთი იცნობს, როგორც საუკეთესო მთარგმნელს რუსულის ენიდგან გერმანულზედ. ბოდენშტედტს გადათარგმნილი აქვს გერმანულს ენაზედ, რამდენიმე თხზულება პუშკინისა, ლერმონტოვისა, ტურგენევისა, კოლცოვისა და სხვ. 1853 წელს ბოდენშტედტი ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში მსახურებდა დირექტორად. ბოდენშტედტი ცნობილია აგრეთვე, როგორც შექსპირის მთარგმნელი გერმანულს ენაზედ. ამას გარდა, თავისი საკუთარი თხზულებაცა აქვს: „მირზა-შაფფის სიმღერები“. ეს წიგნი ძლიერ არის გავრცელებული გერმანიაში და მოკლე ხანში 123-ჯერ არის გამოცემული. უკანასკნელს დროს ბოდენშტედტი გაზეთ „Die Tägliche Kundschau“-ს რედაქტორად იყო.

# უცხოეთი

**იტალია.** საფრანგეთის გაზეთები ამბობენ, როტშილდმა წერილი მისწერა ერთს თავისს მეგობარს იტალიაში და აჯერებს, თუ იტალია თავს დაანებებს უმეტესად შეიარაღებას, საზღვარ-გარედ დიდი კრედიტი გაუჩნდებაო. მაგრამ ასეთმა რჩევამ სწორედ სულ საწინააღმდეგოდ იმოქმედა იტალიაზედ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, ვინა და ვინ არიან წევრებად იტალიის განახლებულს სამინისტროსი. მინისტრ-პრეზიდენტი ისევ მარკიზი დი-რუდინია, რომელსაც კარგად ესმის, რომ იტალიამ ძლიერ საძნელო მოვალეობა იკისრა, და სცდილობს ყოველის ღონისძიებით შეასრულოს ეს ნაკისრი მოვალეობა, თუნდა ამ გზით იტალიამ სრულ გაკოტრებამდესაც-კი მიაღწიოს: მარკიზ დი-რუდინის კარგადა აქვს შეგნებული აზრი მეფე ჰუმბერტოსი, რომ იტალიას სამთა კავშირის გარეშე სხვა ხსნა არა აქვს-რაო. ახალმა სამხედრო მინისტრმა გენერალმა რიკოტტიმაც იმ პირობით იკისრა ეს თანამდებობა პელლუს მაგიერ, რომ რიცხვი ჯარის კორპუსთა შემცირებულ არ იქმნას. გენერალი რიკოტტი სამხედრო მინისტრადვე იყო რობილანის კაბინეტის დროს, რომელიც 1887 წელს დაეცა, და დიდად მომხრეობდა სამთა კავშირის აზრს. 1887 წლის თებერვლის თთვეში გენერალი რიკოტტი დიდადა სცდილობდა ამ აზრის განხორციელებას. გერმანიის ესოდენ მომხრე ხსენებულ კაბინეტის წევრივე იყო ახალი მინისტრი საერო განათლებისა, ბ-ნი ვენალა. თუმცა ფინანსთა მინისტრად კოლომბოს მაგიერ დაინიშნა ლუცცატტი, მაგრამ ესეც ხსენებულის საგნის შესახებ იმავე აზრისაა, რა აზრისაც კოლომბო.

მაშასადამე, ახალი კაბინეტი ისევე აწარმოებს იტალიის საქმეებს, როგორც წინანდელი კაბინეტი აწარმოებდა. მაშ ტყუილად უხაროდათ საფრანგეთის გაზეთებს, გერმანიის მომხრე კაბინეტი იტალიისა დაეცაო. ისეთის სიძლიერით მიისწრაფის იტალია უკვე არჩეულის გზით, რომ მისი შეჩერება აგრე ადვილი არ არის. შეიძლება შემდეგში იტალიამ ომიც-კი გაბედოს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ, როგორც ამბობენ, იტალიის მთავრობას პროექტი შეუდგენია, სახელმწიფო რკინის გზები, რომელიც 7 მილიარდია დამჯდარი, გავყიდოთ. რკინის გზების გაყიდვით იტალიის მთავრობას იმედი აქვს $1^1/_2$ მილიარდი აიღოს და ჯარის შეიარაღებასა და უკეთესად განწყობას მოანდომოს. მაგრამ იტალიის რკინის გზები ისეთს ცუდს მდგომარეობაშია, რომ შეიძლება ხსენებული ფულიც ვერ აიღოს მთავრობამ. გარდა ამისა ახალი ფინანსთა მინისტრი აპირობს სხვა-და-სხვა ახალი გარდასახადი შემოიღოს, რათა ამ გზით აღებულის ფულის შემწეობით ნაკისრი მოვალეობა პირ-ნათლად შეასრულოს სამთა კავშირის წინაშე.

ასეა თუ ისე, მაინც აწ უკვე დასრულებულმა კრიზისმა ვერ დაამკვიდრა მარკიზი დი-რუდინი. კრიზისმა ძალა შეუსუსტა და იმედები შეურყია. დი-რუდინის საყვარელი პროგრამა „ეკონომია ახალის გარდასახადის შემოუღებლადაო“ მხოლოდ სანატრელ საქმედ დარჩა და მისი განხორციელება ჯერ კიდევ შორს არის.

კრისპის მომხრენი, რომელთაც კრიზისი მოახდინეს, წინასწარვე ჰხარობენ, რადგან დარწმუნებულნი არიან, ახალი სამინისტრო დიდხანს ვერ გასძლებს და ისევ ჩვენი მეთაური დაიჭერს იმისს ალაგსაო.

ხსენებულ გვარად გათავება იტალიის სამინისტრო კრიზისისა მხოლოდ გერმანიისა და ავსტრიისათვის არის გასახარელი, რადგან იმათა ჰსურთ, რომ იტალიას სამხედრო ძალა არ შეუსუსტდეს და ახალი სამინისტროც ხომ ამასა სცდილობს, ხოლო, თუ იტალია გაკოტრდა, ეს არც გერმანიისათვის იქნება საზარალო და არც ავსტრიისათვის.

# წვრილი ამბავი

გაზეთებზედვე ეტყობა თურმე, რამდენად სცემენ პატივს ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე და მშრომელს კაცებს. რამდენიც ამ კაცის მიერ წარმოთქმული სიტყვა უფრო ვრცლად არის აღნიშნული, იმდენი უფრო მისი პატივისმცემელნი არიან. აი რას იუწყება ამის შესახებ „Pall-Mall Gazette“: „სიტყვა-სიტყვით და შეუმოკლებლად ჰბეჭდავენ სიტყვას, წარმოთქმულს გლადსტონისა, სალისბერისა, ბალფურისა და ჩამბერლენის მიერ; ხანდახან სიტყვა-სიტყვით, მაგრამ უფრო ხშირად-კი შემოკლებით ჰბეჭდვენ სიტყვას მარკიზ ჰარტინგტონისას, ლორდ როზბერისას, ჯონ მორლეისას, გარკურისასა და გოშენისას; ერთი სვეტი აქვთ მხოლოდ გადადებული ლორდ ჩერჩილისა, სერ ჯემსისა და გიუს-ზიზის მიერ წარმოთქმულ სიტყვებისათვის. დანარჩენნი-კი ნახევარს სვეტსა და უფრო ნაკლებსაც უნდა დაჰკმაყოფილდნენ. გლადსტონია თითქმის ერთად-ერთი კაცია, რომელსაც, რაც უნდა დიდი და ვრცელი სიტყვა ჰქონდეს წარმოთქმული, არ უმოკლებენ და შემცირებულს არა ჰბეჭდავენ. სალისბერმა უფრო პაწია სიტყვის თქმა იცის ხოლმე და ამიტომაც გაზეთები სიამოვნებით ჰბეჭდავენ. ჩემბერლენის სიტყვასაც შეუმოკლებლად ჰბეჭდავენ, რადგან ენა კარგი აქვს და ხალხსაც ძალიან უყვარს მისის სიტყვების კითხვა. ბალფურის მიერ წარმოთქმულს სიტყვას-კი უფრო იმიტომ ჰბეჭდავენ, რომ დიდი ადგილი უჭირავსო“.

— ისპანიის ნორჩის მეფის მამა, ალფონს მე-XII, რომელიც ამ ექვსის წლის წინად გარდაიცვალა, ჯერ არ დაუსაფლავებიათ. მისი გვამი აქამდე თხელს ტილოშია შეხვეული და ასე ექნებათ, ვიდრე შემურვილს არ დაემსგავსება, რომ შუშაბანდის კუბოში და ჩასდგან ესკურიალის ნიშთან დაასვენონ.

—ლონდონში 1891 წ. წარმოიდგინეთ, რკინის გზებზედ მხოლოდ ასამდე კაცი დაღუპულა და ამავე დროს-კი უბრალო ეტლებს 244 კაცი მოუტანია ქვეშ.

— ინგლისურ ჟურნალ „The Speaker“-ის თანამშრომელს უკითხავს ამას წინად ედისონისათვის: ეგ როგორ მოგდით, რომ ტელეფონი შემოგიღიათ და საკუთარის სიყრუვესათვის-კი ვერა გიწამლიათ-რა და ვერა გიშველიათ-რაო. ადვილად ვუწამლებდი, ყურის აფსკა გაწყვეტილი რომ არა მქონდესო, უპასუხა თურმე ედისონმა: ყმაწვილობაში გაზეთებსა ვყიდდი რკინის გზაზედ. ერთხელ ერთმა რკინის გზის მოხელემ ყურები ისე მაგრად ამიწია, რომ აფსკა გამიწყდა და მას აქედ სიყრუვე დამჩემდაო.

— უცნაური სახელებიც თუ გინდათ, ეს არის. ამას წინად გარდაცვალებული ჰანნიბალ გემლინი, რომელიც ერთს დროს შეერთებულს შტატებში ვიცე-პრეზიდენტი იყო, იმ ოჯახს ეკუთვნოდა, რომლის წევრთაც უცნაური სახელები ჰქონდათ. ჰანნიბალის პაპამ, რომელსაც თერთმეტი შვილი ჰყავდა, თავისს პირველს ოთხს შვილს ევროპა, აზია, აფრიკა და ამერიკა დაარქვა თურმე. ევროპა გემლინი ნიუ-იორკში ვაჭრობდა და უცელსა და ვარაქსა ჰყიდდა, აზია გემლინი ქუჩა-ქუჩა და ქალაქ-ქალაქ მუსიკას უკრავდა, აფრიკასა და ამერიკას-კი თავიანთ ძმა კიროსთან ერთად ფაბრიკა ჰქონდათ.

— ერის ჯან-მრთელობისათვის მზრუნველმა ვენგრიის საზოგადოებამ, რომელიც ბუდაპეშტშია დაარსებული, ამას წინად მინისტრ-პრეზიდენტს თხოვნა მიართვა და შეამდგომლობს: თუ ერისათვის სიკეთე და ბედნიერება გინდათ, ეხლავე ღონისძიება რამ იღონეთ ქუჩებში გრძელ-კუდა კაბების ტარების წინააღმდეგაო. გრძელი კაბა მტვერსა და ტალახში მყოფს მიკრობ-ბაცილებს აიავებს და ავრცელებსო. სამკურნალო კომისიამ მერანისამ ამავე აზრით აღკრძალა გრძელის კაბების ტარება.

### წერილი რედაქციის მიმართ

დიდ-მარხვის ორშაბათს იკ. ფიცხელაურმა ყეენობის მაგიერ სოფ. სტეფანწმინდაში, რამდენისამე აქაურ ახალგაზდის დახმარებით, გამართა მასკარადივით გასართობი, რომლის შემოსავალი მოსალოდნელს სკოლას უნდა გადასცემოდა, მაგრამ ეს სურვილი მთლად ვერ იქმნა განხორციელებული. ეს ყეენობის ჩვეულებით ხალხმა შეკრებული ფული ისევ დროს გასატარებლად მოიხმარა იმ ფულიდგან მე გადმომცეს სკოლის სასარგებლოდ მხოლოდ 7 მანეთი. ამავე ფიცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაურმა შემოსწირა რკინის ყულაბი, ნიკოლოზ ყაზიბეგის ქრიამ ელენემ 3 მანეთი, იუანე კაზალიკაშვილმა 1 მ., ვანო ალიბეგაშვილმა 1 მანეთი, ლევან მელიამემ 40 კ., მოსიკა ფაჯიშვილმა 40 კ., ლაზარე ავსაჯანაშვილმა 40 კ., ბიჭიკო დავითაშვილმა 40 კ., გუგმა ჩოფიკაშვილმა 60 კ., ლევან ავსაჯანაშვილმა 1 მ.

ან. კობაიძე

## დეპეშა

16 აპრილი

**პარიჟი.** „Figaro“-ში დაბეჭდილია ნასაუბრევი იმისის ერთის თანამშრომელისა მინისტრ-პრეზიდენტთან. ლუბეს უთქვამს: „ეხლა ჩვენ ვიმკით ნაყოფს სიტყვისა და წერის იმ უკიდურესის თავისუფლებისას, რომელსაც ვითმენდით რამდენისამე წლის განმავლობაში. მე მსურდა მემოქმედნა ამ უკიდურესობათა წინააღმდეგ და კიდეც გარდავწყვიტე მათ წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ერთად-ერთი ღონისძიებაა, რომ ანარხიას ბოლო მოეღოს. რაც შეეხება პირველს მაისს, მე არაფრისა არ მეშინიან; დარწმუნებული ვარ, რომ იმ დღეს საფრანგეთი უფრო მშვიდად იქნება, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანა ევროპისა. იმ კაცთა დასაცავად, რომელთაც ემუქრებიან, ყოველივე ღონისძიებაა ნაღონები. მთავრობა მზად არის ბოლომდე აღასრულოს თავისი მოვალეობა და არავის არა დაუთმოს-რაო.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დასწია თავისი დისკონტი $2^1/_2{}^0/_0$-დგან-$2^0/_0$-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 14 აპრილი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,80}$ | | $7_{,82}$ | | — | ,, |
| ჩამოყნის კუპონები . | $155^3/_4$ | | $156^1/_2$ | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — | ,, | $1_{,12}$ | | — | ,, |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | | — | ,, | — | ,, |
| —მეორისა . . . . . | — | ,, | — | ,, | $219^1/_2$ | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — | ,, | 196 | | $197^3/_4$ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | | | | |
| $6^0/_0$ . . . . . | — | ,, | — | ,, | $101^1/_2$ | |
| $5^0/_0$ . . . . . | — | ,, | — | ,, | 99 | |
| ქუთაისის ბანკისა $6^0/_0$ . | — | ,, | — | ,, | $101^1/_2$ | |
| $5^0/_0$ . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| $5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | ,, | — | ,, | $99^1/_2$ | |

## განცხადებანი

«ქართველთა ამხანაგობის» მიერ გამოცემული

**ილია ჭავჭავაძის**

**თხზულებათა**

პირველი ტომი

(ლექსები და პოემები)

ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად.

ფასი 1 მ. 20 კ.

# ბალანსი

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვარს 1892 წლისა.

**აქტივი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული . . . . . | 14,082 | 35 | | |
| გირაოს ფურცლებით . . . . . | 60,200 | „ | 74,282 | 35 |
| ფული მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . . . . | 24,797 | 11 | | |
| ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში . . | 328 | 71 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . . . | 17,348 | 11 | 42,473 | 93 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. . | — | — | 30 | — |
| სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში: | | | | |
| ა) უზრუნველ საყოფლად გირაოს ფურცლების გამოცემისა (წესდებისა § 50) . . (220,000) | 202,885 | 94 | | |
| ბ) ტირაჟში გამოსულთა გირაოს ფურცელთა და კუპონთა . (50,000) | 46,763 | 80 | | |
| გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . . . . (60,000) | 56,859 | 89 | 306,509 | 63 |
| სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასსაში: | | | | |
| $5^0/_0$ ობლიგაციები II და III აღმოს. სესხისა სათადარიგო თანხაში ჩარიცხული . . . . (3,500) | 3,489 | 60 | | |
| $6^0/_0$ გირავნობის ფურცელნი ქუთაისის ბანკის სასაკუთრონი . (44,100) | 43,274 | 54 | 46,764 | 14 |
| სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 იანვრამდე 1892 წლისა . . . . . . . | — | — | 1,626 | 06 |
| სესხნი გასაცემად დანიშნულნი . . | — | — | 50,700 | — |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზედ . . . . . . | 1.343,900 | — | | |
| ბ) ქალაქის მამულებზე . . . . | 1.886,300 | — | 3,230,200 | — |
| გ) მოკლე ვადიანნი სესხნი . . . | — | — | 135,260 | — |
| მოვალენი: ა) შემოსატანი ფული, რომელსაც შეღავათი აქვთ: | | | | |
| 1) ხანგრძლივთა სესხთამებრ. . | 154,745 | 08 | | |
| 2) მოკლე ვადიანთა სესხთა მებრ. | 5,796 | 98 | 160,542 | 06 |
| ბ) ვადას გადაცილებული გადასახადი: | | | | |
| 1) ხანგრძლივთა სესხთამებრ . . | 87,092 | 14 | | |
| 2) მოკლე ვადიანთა სესხთამებრ. | 2,959 | 63 | | |
| ჯარიმა მოვალეებზე . . . . . . | 7,064 | 17 | 97,115 | 94 |
| გირაოს ფურცელნი, მოსასპობლად შემოსულნი . . . . . . | — | — | 100 | — |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცელნი . . . (227,600) | — | — | 200,170 | — |
| ვადამდე დახურდავებული კუპონები . | — | — | 23,674 | — |
| სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . | — | — | 21,251 | 87 |
| დასაბრუნებელი ხარჯები . . . . | — | — | 96,531 | 03 |
| ხარჯები: ა) ბანკის მოწყობა-მორთულობასა და მორთვა-გამგეობაზედ. | — | — | 1,623 | 22 |
| ბ) არა-ჩვეულებრივი . . . . . | — | — | 5,647 | 23 |
| გერბის გარდასახადი. . . . . . | — | — | 179 | 60 |
| ტალონები მოსასპობი გირავნ. ფურცელთა. . . . . . . . . | — | — | 3,100 | — |
| კუპონები ოცის წლის გირავნობის ფურცელთა . . . . . . | — | — | 2,298 | — |
| **ბალანსი** | — | — | 4,500,079 | 06 |

**პასსივი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ძირეული თავნი. . . . . . | — | — | 554,459 | 66 |
| სათადარიგო თანხა . . . . . | — | — | 66,276 | 38 |
| გირაოს ფურცელნი გამოსაცემნი: | | | | |
| ა) $48\,^8/_{12}$ წლიანი . . . . . | 11,300 | — | | |
| ბ) $19^{11}/_{12}$ » . . . . . | 39,400 | — | 50,700 | — |
| გირაოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი: | | | | |
| $48^8/_{12}$ წლიანი . . . . . . | 92,400 | — | | |
| $43^1/_2$ „ . . . . . . | 1.251,500 | — | | |
| $19^{11}/_{12}$ „ . . . . . . | 136,900 | — | | |
| $18^7/_{12}$ „ . . . . . . | 1.749,400 | — | 3.230,200 | — |
| თანხა სესხთა მოსასპობი: | | | | |
| $43^1/_2$ წლიანი . . . . . . | 5,978 | — | | |
| $48^8/_{12}$ „ . . . . . . | 268 | 78 | | |
| $18^7/_{12}$ „ . . . . . . | 61,024 | 17 | | |
| $19^{11}/_{12}$ „ . . . . . . | 2,413 | — | 69,683 | 95 |
| თანხა სარგებლისა: | | | | |
| $6^0/_0$ სესხისა . . . . . . | 90,036 | 51 | | |
| $5^0/_0$ „ . . . . . . | 5,732 | 20 | 95,768 | 71 |
| ფული გადადებული დასაზღვეველად: | | | | |
| ა) გირაოს ფურცელთა ტირაჟში გამოსულთა . . . . . . | 127,500 | — | | |
| ბ) 2 იანვრის 1892 წლისა ვადის $6^0/_0$ გირაოს ფურცელთა კუპონები . . . . 94,878— „ $5^0/_0$ . . . . . . 5,782—50 წინანდელ ვადიანი $6^0/_0$ 237— | 100,897 | 50 | 228,397 | 50 |
| ვადამდე მოსპობილნი სესხნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით { $43^1/_2$ წ. | 359 | 26 | | |
| { $18^7/_{12}$ „. | 45,791 | 84 | 46,151 | 10 |
| ბ) გირაოს ფურცლებით { $43^1/_4$ წ. | 100 | — | 100 | |
| { $18^7/_{12}$ „ | — | — | | — |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა . | 6,389 | 42 | | |
| ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვა . . : . . | 20,317 | — | 26,706 | 42 |
| გადამავალი ჯამი . . . . . . | — | — | 3,948 | 42 |
| სარგებლიანი ქაღალდები კასსაში: | | | | |
| ა) შესანახავად . . . . . . | 24,400 | — | | |
| ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვ. . | 35,800 | — | 60,200 | — |
| $5^0/_0$ სახელმწიფო ღალა . . . . | — | — | 1,168 | 65 |
| სხვა-და-სხვა კრედიტორები . . . | — | — | 3,033 | 59 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი გადასახადი . . . . . . . . | — | — | 2,943 | 88 |
| გამოსაცვლელი კუპონი ფურცლები . | — | — | 2,298 | — |
| ძველი ტალონები მოსასპობ გირავნობის ფურცელთა . . . . . . | — | — | 3,100 | — |
| ბანკის კორრესპონდენტები . . . | — | — | 15,858 | 72 |
| წმინდა მოგება 1891 წლისა . . . | — | — | 39,084 | 08 |
| **ბალანსი** | — | — | 4.500,079 | 06 |

ბანკის გამგეობა

Дозв. ценз. Тифлисъ, 17-го Апрѣля 1892 г

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.